პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2026 წლის ------ ქ. თბილისი

გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული: „გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის“ (შემდგომ - წესი) ადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების მოყვანისა და მათი თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების გზით მცენარეთა გენეტიკური რესურსების *in situ* კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად შემდეგ გამონაკლისებს:

ა) საფურაჟე, მარცვლეული, შაქრისა და საფურაჟე ჭარხლის, საზეთე და საბოჭკო კულტურებისა და კარტოფილის ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშებისა და იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებიც ბუნებრივად არიან ადაპტირებული ადგილობრივ და რეგიონულ პირობებთან და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, ასევე, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშებისა და იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებიც ტრადიციულად მოჰყავდათ კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან (შემდგომ – „კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშები“);

ბ) ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებსაც კომერციული წარმოებისათვის არსებითი ღირებულება არ გააჩნიათ და გამოყვანილია კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად (შემდგომ – „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშები“);

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის, ასევე, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსებისათვის.

2. თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ წესით გათვალისწინებულ ჯიშებსა და მათ თესლსა და სათესლე კარტოფილზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში** – ერთი კულტურის ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთი ან რამდენიმე სახეობის პოპულაციების ან კლონების ერთობლიობა, რომელიც ტრადიციულად ერთ ადგილობრივ აგროპოპულაციას წარმოადგენდა;

ბ) ***in situ* კონსერვაცია** - გენეტიკური მასალის შენარჩუნება მის ბუნებრივ გარემოში. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების შემთხვევაში, იმ სასოფლო-სამეურნეო გარემოში, სადაც მათ ჩამოუყალიბდათ საკუთარი დამახასიათებელი თვისებები;

გ) **გენეტიკური ეროზია** – დროთა განმავლობაში ერთი და იმავე სახეობის პოპულაციებსა და ჯიშებს შორის ან მათ შიგნით გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვა, ან ადამიანის ჩარევის ან გარემოს ცვლილების შედეგად სახეობის გენეტიკური საფუძვლის შემცირება;

დ) **თესლი** - თესლი და სათესლე კარტოფილი**,** გარდა შემთხვევისა, როდესაც სათესლე კარტოფილი პირდაპირ არის გამორიცხული;

ე) **მომწოდებელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თესლს ბაზარზე განათავსებს;

ვ) **ჯიშის შენარჩუნება** – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ჯიშის იდენტურობის, დამახასიათებელი ნიშნებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების თაობებში შენარჩუნებისკენ;

ზ) **არაოფიციალური გამოცდა** – ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული გამოცდა, რომლის შედეგების სანდოობას, შესაბამისობასა და გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისობას აფასებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

მუხლი 3. ჯიშების ეროვნულ კატალოგში შეტანა

1. ჯიში შეიძლება შეტანილი იქნეს ეროვნულ კატალოგში როგორც კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიში ან კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში, თუ ის მნიშვნელოვანია მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციის თვალსაზრისით.

2. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ან კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის გასავრცელებლად დაშვებისათვის შეიძლება ჩატარებული იქნეს არაოფიციალური გამოცდა და აღნიშული ჯიშები შეიძლება დაშვებულ იქნეს ეროვნულ კატალოგში შესატანად თუ ის აკმაყოფილებს „საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგი და ეროვნული კატალოგის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 დეკემბრის №2-1038 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

3. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის განსხვავებულობის, სტაბილურობისა და ერთგვაროვნების შეფასება უნდა განხორციელდეს „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №587 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. წარმოშობის რეგიონი

კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანისას უნდა განისაზღვროს რეგიონი ან რეგიონები, სადაც ეს ჯიში ისტორიულად მოჰყავდათ და რომელთა გარემო პირობებთანაც იგი ბუნებრივად არის ადაპტირებული (შემდგომ - „წარმოშობის რეგიონი“). დარეგისტრირებული ჯიშების სტატუსის შეცვლა და ხელახალი რეგისტრაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ჯიშის შენარჩუნება

კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიში უნდა იქნეს შენარჩუნებული მისი წარმოშობის რეგიონში.

მუხლი 6. თესლის სერტიფიცირება და ხარისხის შეფასება

1. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლის სერტიფიცირება უნდა მოხდეს „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. საფურაჟე კულტურების, მარცვლეული კულტურების, შაქრისა და საფურაჟე ჭარხლის, საზეთე და საბოჭკო კულტურების კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშების თესლი, გარდა Oryza sativa-ს თესლისა, აგრეთვე კარტოფილის კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშების თესლი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშების თესლი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლის ხარისხის შეფასება შეიძლება განხორციელდეს მწარმოებლის მიერ ან, მწარმოებლის მოთხოვნის საფუძველზე, სერტიფიცირების ორგანოს მიერ.

3. თესლის ხარისხის შეფასება მოიცავს სათესლე ნაკვეთის შემოწმებას, თესლის ნიმუშის აღებასა და თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას და ხორციელდება შესაბამისი კულტურისა და თესლის კატეგორიისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და მეთოდების შესაბამისად, ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისების დაცვით.

4. მწარმოებლის მიერ თესლის ხარისხის შეფასების შემთხვევაში იგი შეფასების შედეგებსა და შესაბამის დოკუმენტაციას დადგენილი ფორმით წარუდგენს სერტიფიცირების ორგანოს და პასუხისმგებელია ჩატარებული შეფასების, წარდგენილი მონაცემებისა და დოკუმენტაციის სისწორეზე.

5. მწარმოებლის მიერ თესლის ხარისხის შეფასების შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანო შერჩევითი პრინციპით ახორციელებს თესლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების ოფიციალურ მონიტორინგს და მწარმოებლის მიერ ჩატარებული შეფასების შედეგებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებას. ოფიციალური მონიტორინგის ფარგლებში სერტიფიცირების ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს სათესლე ნაკვეთი, აიღოს საკონტროლო ნიმუში, ჩაატაროს ან უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდა და გადაამოწმოს თესლის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

6. Oryza sativa-ს (ბრინჯის) კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ხარისხის შეფასება და ოფიციალური კონტროლი ხორციელდება ამ მუხლის მე-2 - მე-5 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 7. საკონტროლო გამოცდა

ბაზარზე განთავსებული კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლი და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლი ექვემდებარება შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ოფიციალურ საკონტროლო გამოცდას ჯიშობრივი იდენტობისა და ჯიშობრივი სიწმინდის შესამოწმებლად.

მუხლი 8. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის წარმოების რეგიონი

1. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლი შეიძლება იწარმოებოდეს მხოლოდ ამ ჯიშის წარმოშობის რეგიონში.

2. თუ სპეციფიკური გარემო პირობებით გამოწვეული პრობლემის გამო წარმოშობის რეგიონში შეუძლებელია თესლის წარმოება ან თესლის სერტიფიცირებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება, უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება თესლის წარმოებისათვის განსაზღვროს დამატებითი რეგიონი ან რეგიონები. დამატებითი რეგიონის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მცენარეთა გენეტიკურ რესურსებზე პასუხისმგებელი ორგანოს ან ამ მიზნით აღიარებული ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დამატებით რეგიონში ან რეგიონებში წარმოებული თესლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის წარმოშობის რეგიონში.

მუხლი 9. თესლის ლაბორატორიული ანალიზი

1. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ტარდება თესლის ლაბორატორიული ანალიზი მოქმედი საერთაშორისო მეთოდების შესაბამისად, ხოლო ასეთი მეთოდების არარსებობის შემთხვევაში – შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

2. ლაბორატორიული ანალიზისათვის, კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ნიმუში აღებული უნდა იქნეს ერთგვაროვანი თესლის პარტიიდან. თესლის პარტიისა და ნიმუშის წონა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლის სერტიფიცირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 10. ბაზარზე განთავსების პირობები

1. კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) თესლი წარმოებულია ამ ჯიშის წარმოშობის რეგიონში ან ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დამატებით რეგიონში;

ბ) თესლი ბაზარზე განთავსდება ამ ჯიშის წარმოშობის რეგიონში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამონაკლისის სახით, კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ბაზარზე განთავსებისათვის შეიძლება განისაზღვროს დამატებითი რეგიონი ან რეგიონები, თუ აღნიშნული რეგიონები ამ ჯიშის ბუნებრივი და ნახევრად ბუნებრივი ჰაბიტატების თვალსაზრისით შესადარისია წარმოშობის რეგიონთან.

3. დამატებითი რეგიონის ან რეგიონების განსაზღვრის შემთხვევაში, წარმოშობის რეგიონში ჯიშის კონსერვაციის მიზნით უნდა იქნეს შენარჩუნებული იმ რაოდენობის სათესლე მასალა, რომელიც უზრუნველყოფს სულ მცირე ამ წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული დასაშვები რაოდენობის თესლის წარმოებას.

4. თუ კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის წარმოებისათვის განსაზღვრულია დამატებითი რეგიონი ან რეგიონები, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ გამოიყენება.

მუხლი 11. თესლის ბაზარზე განთავსების რაოდენობრივი შეზღუდვები

1. საფურაჟე კულტურების, მარცვლეული კულტურების, შაქრისა და საფურაჟე ჭარხლის, საზეთე და საბოჭკო კულტურებისა და სათესლე კარტოფილის თითოეული კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში

ბაზარზე განთავსებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში იმავე სახეობის გამოყენებული თესლის რაოდენობის 0,5%-ს ან 100 ჰექტრის დასათესად საჭირო თესლის რაოდენობას, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანია მეტი.

2. *Pisum sativum*, *Triticum* spp., *Hordeum vulgare*, *Zea mays*, *Solanum tuberosum*, *Brassica napus* და *Helianthus annuus*-ის თითოეული კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული 0,5%-იანი ზღვრის ნაცვლად გამოიყენება 0,3%-იანი ზღვარი ან 100 ჰექტრის დასათესად საჭირო თესლის რაოდენობა, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანია მეტი. თესლის ბაზარზე განთავსებისათვის რაოდენობრივი დაანგარიშება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული თითოეული სახეობის ყველა კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ერთი წლის განმავლობაში ბაზარზე განთავსებული თესლის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში იმავე წლის განმავლობაში გამოყენებული შესაბამისი სახეობის თესლის რაოდენობის 10%-ს. თუ აღნიშნული რაოდენობა 100 ჰექტრის დასათესად საჭირო თესლის რაოდენობაზე ნაკლებია, მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 100 ჰექტრის დასათესად საჭირო თესლის რაოდენობამდე.

4. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თითოეული კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ერთი წლის განმავლობაში ბაზარზე განთავსებული თესლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ წესის დანართი №1-ით "ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის რაოდენობრივი შეზღუდვები ბაზარზე განთავსებისას" შესაბამისი სახეობისათვის განსაზღვრულ ფართობზე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოებისათვის საჭირო თესლის რაოდენობას.

5. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლი ბაზარზე შეიძლება განთავსდეს მხოლოდ მცირე შეფუთვებით, რომელთა მაქსიმალური ნეტო წონა შესაბამისი სახეობისათვის განსაზღვრულია ამ წესის დანართი №2-ით „შეფუთვის მაქსიმალური წონა - ნეტო".

მუხლი 12. თესლის შეფუთვა, დალუქვა და ეტიკეტირება

კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლის და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშის თესლის შეფუთა, დალუქვა და ეტიკეტირება ხორციელდება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილების შესაბამისად. შესაბამისად.

მუხლი 13. მომწოდებლის ანგარიში

მომწოდებელი ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია თითოეული კონკრეტულ პირობებში მოსაყვანი ჯიშის თესლის და კონსერვაცისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ბაზარზე განთავსებული რაოდენობის შესახებ, ბაზარზე განთავსებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

დანართი №1

ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლის რაოდენობრივი შეზღუდვები ბაზარზე განთავსებისას

ბოტანიკური დასახელება	ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების კონსერვაციისთვის განკუთვნილი ყოველი ჯიშის წარმოებისათვის ფართობის მაქსიმალური რაოდენობა ჰა-ში
Allium cepa L. — Cepa group Brassica oleracea L. Brassica rapa L. Capsicum annuum L. Cichorium intybus L. Cucumis melo L. Cucurbita maxima Duchesne Cynara cardunculus L. Daucus carota L. Lactuca sativa L. Solanum lycopersicum L. Phaseolus vulgaris L. Pisum sativum L. (partim) Vicia faba L. (partim)	40
Allium cepa L. — Aggregatum group Allium porrum L. Allium sativum L. Beta vulgaris L. Citrullus lanatus (Thunb.) Matsum. et Nakai Cucumis sativus L. Cucurbita pepo L. Foeniculum vulgare Mill. Solanum melongena L.	20

Spinacia oleracea L.	
Allium fistulosum L. Allium schoenoprasum L. Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. Apium graveolens L. Asparagus officinalis L. Cichorium endivia L. Petroselinum crispum (Mill.) Nyman ex A. W. Hill Phaseolus coccineus L. Raphanus sativus L. Rheum rhabarbarum L. Scorzonera hispanica L. Valerianella locusta (L.) Laterr. Zea mays L. (partim)	10

დანართი №2

შეფუთვის მაქსიმალური წონა - ნეტო

ბოტანიკური დასახელება	შეფუთვის მაქსიმალური წონა - ნეტო გ-ში
Phaseolus coccineus L. Phaseolus vulgaris L. Pisum sativum L. (partim) Vicia faba L. (partim) Spinacia oleracea L. Zea mays L. (partim)	250

Allium cepa L. (cepa group, Aggregatum group) Allium fistulosum L. Allium porrum L. Allium sativum L. Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. Beta vulgaris L. Brassica rapa L. Cucumis sativus L. Cucurbita maxima Duchesne Cucurbita pepo L. Daucus carota L. Lactuca sativa L. Petroselinum crispum (Mill.) Nyman ex A. W. Hill Raphanus sativus L. Scorzonera hispanica L. Valerianella locusta (L.) Laterr.	25
Allium schoenoprasum L. Apium graveolens L. Asparagus officinalis L. Brassica oleracea L. (all) Capsicum annuum L. Cichorium endivia L. Cichorium intybus L. Citrullus lanatus (Thunb.) Matsum. et Nakai Cucumis melo L. Cynara cardunculus L. Solanum lycopersicum L. Foeniculum vulgare Mill. Rheum rhabarbarum L. Solanum melongena L.	5

განმარტებითი ბარათი

„გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

„გამონაკლისი წესები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის არის ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს საგამონაკლისო წესებს ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშების, ასევე იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მათი თესლის და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის, რომლებიც ადაპტირებული არიან ადგილობრივ და რეგიონულ გარემო პირობებთან და იმყოფებიან განეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ (COMMISSION DIRECTIVE 2008/62/EC of 20 June 2008 providing for certain derogations for acceptance of agricultural landraces and varieties which are naturally adapted to the local and regional conditions and threatened by genetic erosion and for marketing of seed and seed potatoes of those landraces and varieties) და კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივა, რომელიც ადგენს გარკვეულ გამონაკლისებს, რათა შესაძლებელი იყოს იმ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ადგილობრივი აბორიგენული ჯიშების მიღება და ასევე იმ ჯიშების მიღება, რომლებიც ტრადიციულად იზრდებოდა კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის წინაშე დგას, აგრეთვე იმ ბოსტნეულის ჯიშების, რომლებსაც არ გააჩნიათ კომერციული მნიშვნელობა ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის, მაგრამ შექმნილია განსაკუთრებულ პირობებში მოსაყვანად, და ამ ლანდრასებისა და ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსება (COMMISSION DIRECTIVE 2009/145/EC of 26 November 2009 providing for certain derogations, for acceptance of vegetable landraces and varieties which have been traditionally grown in particular localities and regions and are threatened by genetic erosion and of vegetable varieties with no intrinsic

value for commercial crop production but developed for growing under particular conditions and for marketing of seed of those landraces and varieties).

პროექტი ადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების მოყვანისა და მათი თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების გზით მცენარეთა გენეტიკური რესურსების *in situ* კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად გამონაკლისებს საფურაჟე, მარცვლეული, შაქრისა და საფურაჟე ჭარხლის, საზეთე და საბოჭკო კულტურებისა და კარტოფილის ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშებისა და იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებიც ბუნებრივად არიან ადაპტირებული ადგილობრივ და რეგიონულ პირობებთან და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, ასევე, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიშებისა და იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებიც ტრადიციულად მოჰყავდათ კონკრეტულ ადგილებსა და რეგიონებში და გენეტიკური ეროზიის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან (შემდგომ – „კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშები“) ასევე, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების იმ ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისათვის, რომლებსაც კომერციული წარმოებისათვის არსებითი ღირებულება არ გააჩნიათ და გამოყვანილია კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად (შემდგომ – „კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშები“).

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა ჯიშების ეროვნულ კატალოგში შეტანის პროცედურები და დადგინდა, რომ ჯიში შეიძლება შეტანილი იქნეს ეროვნულ კატალოგში როგორც კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიში ან კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიში, თუ ის მნიშვნელოვანია მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციის თვალსაზრისით. ასევე განისაზღვრა, რომ კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის ეროვნულ კატალოგში შეტანისას უნდა განისაზღვროს რეგიონი ან რეგიონები, სადაც ეს ჯიში ისტორიულად მოჰყავდათ და რომელთა გარემო პირობებთანაც იგი ბუნებრივად არის ადაპტირებული (შემდგომ -„წარმოშობის რეგიონი“). დარეგისტრირებული ჯიშების სტატუსის შეცვლა და ხელახალი რეგისტრაცია მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროექტის თანახმად, დადგინდა თესლის სერტიფიცირების, ხარისხის შეფასების, თესლის ლაბორატორიული ანალიზის და თესლის ბაზარზე განთავსების პირობები, ასევე თესლის შეფუთვასთან, დალუქვასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული პროცედურები.

განისაზღვრა, რომ კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშის თესლი შეიძლება იწარმოებოდეს მხოლოდ ამ ჯიშის წარმოშობის რეგიონში. მაგრამ, თუ სპეციფიკური გარემო პირობებით გამოწვეული პრობლემის გამო წარმოშობის რეგიონში შეუძლებელია თესლის წარმოება ან თესლის სერტიფიცირებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება, უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება თესლის წარმოებისათვის განსაზღვროს დამატებითი

რეგიონი ან რეგიონები. დამატებითი რეგიონის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მცენარეთა გენეტიკურ რესურსებზე პასუხისმგებელი ორგანოს ან ამ მიზნით აღიარებული ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ასევე დადგინდა მომწოდებელის ვალდებულება და განისაზღვრა, რომ მიმწოდებელი ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია თითოეული კონკრეტულ პირობებში მოსაყვანი ჯიშის თესლის და კონსერვაციისთვის განკუთვნილი ჯიშის თესლის ბაზარზე განთავსებული რაოდენობის შესახებ, ბაზარზე განთავსებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია ევროკომისიის 2008 წლის 20 ივნისის 2008/62/EC და კომისიის 2009 წლის 26 ნოემბრის N2009/145 დირექტივების შესაბამისად.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად, დაშვებილი იქნება გამონაკლისები კონსერვაციისათვის განკუთვნილი ჯიშებისა და კონკრეტულ პირობებში მოსაყვანად გამოყვანილი ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და ამ ჯიშების თესლისა და სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსებისათვის.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის 30 სექტემბრიდან.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე.

თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.